16/02/2024

# საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერებს შორის გაცნობითი შეხვედრა გაიმართება

2024 წლის 17 თებერვალს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერებს შორის გაცნობითი შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრის მიზანია ქართული ეკლესიის ხედვის გაცნობა, რაც გულისხმობს ქვეყანაში ღირებულებითი განათლების ხელშეწყობასა და გაძლიერებას. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, ასევე განხილული იქნება თანამშომლობის პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების განხორციელების გზები.

მოგეხსენებათ, რომ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად განაგრძობს ზოგადსაგანმანათლებო (არამხოლოდ) დაწესებულებებში ქართველი წმინდანების ცხოვრების შესახებ, რომელთაც უდიდესი როლი აქვთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, სპექტაკლების ჩატარებასა და შემდგომ დისკუსიებს, რაც ხელს უწყობს მორალური და ღირებულებითი განათლების

განვითარებას.

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური